



# საქართველოს პარლამენტის გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საარჩევნო პერიოდში ეთიკის წესების დაცვის შესახებ

საქართველოს პარლამენტი:

ეფუძნება „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ 2015 წლის რიგის, 2013 წლის ვილნიუსის, 2011 წლის ვარშავის და 2009 წლის პრადის სამიტების დეკლარაციების სულისკვეთებას;

ითვალისწინებს 2015 წლის 3-4 ნოემბერს გამართული საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის პირველი სხდომის დასკვნით განცხადებასა და რეკომენდაციებს;

მხედველობაში იღებს საქართველოს 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის სადამკვირვებლო მისიის საბოლოო ანგარიშს და აღნიშნულ არჩევნებზე დამკვირვებელი ევროპარლამენტის დელეგაციის ანგარიშს;

ეყრდნობა საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების მიერ საჯაროდ გამოხატულ პოლიტიკურ ნებას და

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე:

აცხადებს, რომ საარჩევნო პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა დაიცვან დადგენილი ეთიკის წესები და ქცევის სტანდარტები, რაც საზოგადოების ნდობის მოპოვების მნიშვნელოვანი წინაპირობა და კარგი მმართველობის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, და აღიარებს მათ მნიშვნელობას დემოკრატიული ხელისუფლების განვითარებისათვის;

აცხადებს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იმოქმედონ საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, და დემოკრატიული მმართველობის პრინციპების შესაბამისად, რათა უზრუნველყონ საზოგადოების ინტერესების განუხრელად დაცვა;

აღიარებს პოლიტიკური პარტიების უფლებას, ჰქონდეთ პოლიტიკური პლატფორმებისა და პროგრამების წარმოჩენის და განსხვავებული პოლიტიკური იდეებისა და პრინციპების თავისუფლად გავრცელების შესაძლებლობა;

მოუწოდებს პოლიტიკურ პარტიებს, უარი თქვან სიძულვილის ენისა და პროვოკაციული, ცილისმწამებლური, ღირსების შემლახავი, ქსენოფობიური, მუქარის შემცველი ან ნებისმიერი ფორმის ძალადობისკენ მომწოდებელი გამონათქვამების გამოყენებაზე;

აღიარებს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტების ორგანოების, საჯარო დაწესებულებების, პოლიციისა და სამხედრო (გასამხედროებული) უწყებების დეპოლიტიზების მნიშვნელობას და არჩევნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების დაუშვებლობას;

აცხადებს, რომ სახელმწიფომ უნდა შეასრულოს თავისი ექსკლუზიური ვალდებულება ძალადობის თავიდან აცილებისა და აღკვეთისათვის;

მოუწოდებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებით დაიცვან საარჩევნო სუბიექტებისადმი თანაბარი მოპყრობისა და მიუმხრობლობის პრინციპები, აგრეთვე უზრუნველყონ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში მათი საქმიანობის საფუძვლიანი და დაბალანსებული გაშუქება, რათა დაიცვან მოქალაქეთა მიერ არჩევანის ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით გაკეთების უფლება;


აცხადებს, რომ საარჩევნო სუბიექტებისათვის საარჩევნო შემოწირულებები კანონით დადგენილი წესების სრული დაცვით, შემომწირველთა უფლებების შეზღუდვის და ყოველგვარი ფარული თუ ირიბი ზეწოლის გარეშე უნდა განხორციელდეს;

ხაზგასმით აღნიშნავს სასამართლოს განსაკუთრებულ როლს საარჩევნო დავებზე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და აღიარებს სასამართლო გადაწყვეტილებათა უზენაესობას;

აცხადებს, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა ინტენსიურად უნდა ითანამშრომლონ საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებთან როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ისე არჩევნების დროს და სრულად და გამჭვირვალედ უნდა მიაწოდონ მათ ყველა საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესის შეფასების უზრუნველსაყოფად;

ადასტურებს, რომ პოლიტიკური პარტიების ლიდერები, წევრები და აქტივისტები ვალდებული არიან, შეასრულონ ამ განცხადების დებულებები, რათა წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას და მის შემდგომ პერიოდში უზრუნველყოფილ იქნეს თავისუფალი და დემოკრატიული გარემო.

საქართველოს პარლამენტის  
თავმჯდომარე



დავით უსუფაშვილი

ქუთაისი,

2016 წლის 22 ივნისი.

№5513-III